ვებგვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული ფიზიკური პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში „ხელშეკრულება“) 8.5 პუნქტის შესაბამისად, სს „თიბისი ბანკი“ გთავაზობთ ხელშეკრულებაში შემდეგი ცვლილებების (დამატებების) შეტანას:

<u>შეიცვალოს ხელშეკრულების მე-16 მუხლის 16.26.5 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>

16.26.5 ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებული ნებისმიერი დამატებითი ხელშეკრულების (ნებისმიერი საკრედიტო პროდუქტის) გრაფიკით გათვალისწინებული გადასახდელი თანხის 2 (ორი) დღიანი ვადაგადაცილების შემთხვევაში, მოახდინოს მსესხებლის, თანამსესხებლის და/ან კლიენტის თავდებ(ებ)ის საბანკო ანგარიშ(ებ)ის ბლოკირება - ანგარიშებზე/ანგარიშებიდან შეზღუდოს აქტიური ოპერაციები (თანხის გატანა, გადარიცხვა, კონვერტაცია და სხვა). ანგარიშ(ებ)ზე შესაძლებელი იქნება, მხოლოდ ჩარიცხვის/თანხის შეტანის ოპერაციების განხორციელება.“